<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №27, 27.10.2008, მუხ. 170) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აკრძალულია საგანგებო ან სპეციალური პროკურატურების შექმნა. ამ კანონის 9^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიშნება საგანგებო (ad hoc) პროკურორი“.

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^1$“ ქვეპუნქტი:

„$ა^1$) საგანგებო (ad hoc) პროკურორი - ამ კანონის 8^3 მუხლით გათვალისწინებული პირი, რომელიც ასრულებს ამავე კანონის 9^2 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;”.

3. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^1$“-„$ა^4$“ ქვეპუნქტები:

„$ა^1$) თავმჯდომარეობს საპროკურორო საბჭოს;

$ა^2$) საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავარი პროკურორის კანდიდატურებს;

$ა^3$) საქართველოს მთავრობას თანხმობის მოსაპოვებლად წარუდგენს მთავარი პროკურორის კანდიდატურას;

$ა^4$) ამ კანონის 8^1 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელს აწერს მიმართვას მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია დანიშნოს პროკურატურის მუშაკთა დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდა;“.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 – 8^3 მუხლები:

„მუხლი 8[1]. საპროკურორო საბჭო

1. საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და მისი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანო საპროკურორო საბჭო.

2. საპროკურორო საბჭო შედგება შემდეგი 15 წევრისაგან:

ა) იუსტიციის მინისტრი - საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საპროკურორო საბჭოს 8 წევრი, რომლებსაც ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია ამ კანონის 8[2] მუხლით დადგენილი წესით და რომელთა ¼ მაინც არის განსხვავებული სქესის;

გ) საქართველოს პარლამენტის 2 წევრი, რომელთაგან ერთს - საპარლამენტო უმრავლესობის წევრთაგან, ერთს - იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან საპარლამენტო უმრავლესობაში, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი;

დ) საპროკურორო საბჭოს 2 წევრი, რომლებსაც საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

ე) საპროკურორო საბჭოს 2 წევრი, რომლებსაც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი იმავე წესით, როგორითაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის მიერ ირჩევიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, ამ მუხლის მე-6 პუნქტის დებულების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“-„დ“ ქვეპუნქტებში მითითებული თანამდებობის პირები საპროკურორო საბჭოს წევრებად ითვლებიან თავიანთი შესაბამისი თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული პირების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. თუ ამ ვადის გასვლამდე რომელიმე ასეთ პირს რაიმე მიზეზით შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება, მისი საპროკურორო საბჭოს წევრად დარჩენის ან საბჭოს წევრობისგან გათავისუფლების საკითხს წყვეტს საპროკურორო საბჭო. ეს პირები მოქმედებენ თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით და არ არიან ანგარიშვალდებულნი მათი ამრჩევი ორგანოს წინაშე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპროკურორო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პროკურორი ან საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი, რომელსაც აქვს იურისტად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, პროკურორად ან საქართველოს პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპროკურორო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელსაც გავლილი აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საერთო ტესტირება ან ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

7. საპროკურორო საბჭოს წევრები საპროკურორო საბჭოს წევრობისთვის ანაზღაურებას არ ღებულობენ.

8. საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებაა:

ა) კომპეტენციის ფარგლებში მთავარი პროკურორის კანდიდატურის დამტკიცება;

ბ) ამ კანონის 9^2 მუხლით დადგენილი წესით საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნა;

გ) მთავარი პროკურორის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნის დამტკიცება და კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს პარლამენტისთვის მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წარდგინებით მიმართვა;

დ) მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება;

ე) დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხების გადაწყვეტა საპროკურორო საბჭოს წევრის მიმართ, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით პროკურორთა კონფერენციის მიერ არის არჩეული;

ვ) ექვს თვეში ერთხელ მაინც, ან საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ, პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ მთავარი პროკურორის/მთავარი პროკურორის მოადგილის ანგარიშის მოსმენა, რომელიც შეეხება დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკას, სტატისტიკურ მაჩვენებლებს, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობას, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს და არ მოიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს;

ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და მთავარი პროკურორისთვის წარდგენა;

თ) მთავარი პროკურორისთვის რეკომენდაციების წარდგენა სისხლის სამართლის პოლიტიკასთან დაკავშირებით, ასევე, პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ი) გადაწყვეტილების მიღება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე;

კ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შეწყვეტა.

9. საპროკურორო საბჭო პროკურატურის მუშაკთა საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში არ ერევა.

10. საპროკურორო საბჭო იკრიბება ექვს თვეში ერთხელ მაინც იუსტიციის მინისტრის მოწვევით, ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, რაც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. საპროკურორო საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

11. თუ ამ კანონის რომელიმე დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მის სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

12. თუ საპროკურორო საბჭოს მიერ საქმის განხილვის შედეგად დადასტურდება მთავარი პროკურორის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, საპროკურორო საბჭო, გარდა ამ კანონის 9^2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, იღებს გადაწყვეტილებას მთავარი პროკურორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. მთავარი პროკურორის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები.

13. თუ საპროკურორო საბჭოს მიერ საქმის განხილვის შედეგად დადასტურდება მთავარი პროკურორის მოადგილის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, საპროკურორო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მთავარი პროკურორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

14. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მთავარი პროკურორი/მთავარი პროკურორის მოადგილე უფლებამოსილია საპროკურორო საბჭოს წინაშე წარდგეს ახსნა-განმარტებით და წარადგინოს მისი პოზიციის დამადასტურებელი ინფორმაცია.

15. საპროკურორო საბჭო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა 2/3-ით.

16. საპროკურორო საბჭო მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს განკარგულებას.

17. მთავარი პროკურორი უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს საპროკურორო საბჭოს სხდომას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ კანონის 9^2 მუხლით დადგენილი წესით განიხილება თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლების ან მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საკითხი.

18. საპროკურორო საბჭოს გააჩნია თავისი ვებგვერდი.

მუხლი 8^2. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია

1. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია არის საქართველოს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრება, რომლის უფლებამოსილებაა საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევა.

2. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით და საკუთარი რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს პროკურორთა კონფერენცია.

3. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია მოიწვევა მთავარი პროკურორის მიერ საჭიროებისამებრ, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

4. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა ნახევარზე მეტი.

5. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

6. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატებს პროკურორთა კონფერენციას წარუდგენენ პროკურატურის პროკურორებისგან და გამომძიებლებისგან შემდგარი არანაკლებ 30 კაციანი საინიციატივო ჯგუფები.

7. საინიციატიო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს საპროკურორო საბჭოს წევრობის არაუმეტეს 1 კანდიდატურა.

8. პროკურატურის პროკურორი/გამომძიებელი უფლებამოსილია იყოს მხოლოდ ერთი საინიციატივო ჯგუფის წევრი.

9. პროკურორთა კონფერენციას წარედგინება 16 კანდიდატისაგან შემდგარი სია, რომელთა ერთი მეოთხედი მაინც განსხვავებული სქესისაა. სიაში ასევე დაცული უნდა იყოს რეგიონული და იერარქიული დონეების წარმომადგენლობითობის პრინციპი.

10. კანდიდატებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე კონფერენციის წევრების ხმათა უმრავლესობას.

11. თუ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატთა იმ რაოდენობამ, რომელიც საჭიროა საპროკურორო საბჭოს წევრობის ვაკანტური ადგილ(ებ)ის დასაკავებლად, ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურა თავიდან იწყება.

12. ორი ან მეტი კანდიდატის მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში ამ კანდიდატებს კენჭი ხელახლა ეყრებათ.

13. გამარჯვებულ კანდიდატს, რომელმაც უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე საპროკურორო საბჭოს წევრობაზე უარი თქვა, ჩაანაცვლებს საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი რიგითობის მიხედვით. საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებით დადგენილი წესი.

მუხლი 8[3]. საგანგებო (ad hoc) პროკურორი

1. საგანგებო (ad hoc) პროკურორი ინიშნება ამ კანონის 9[2] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ასრულებს იმავე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

2. საგანგებო (ad hoc) პროკურორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით.

3. საგანგებო (ad hoc) პროკურორი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საპროკურორო საბჭოს წინაშე.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია საგანგებო (ad hoc) პროკურორს ამ კანონის 9[2] მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოუყოს სათანადო ფინანსური და მატერიალური რესურსი.

5. საგანგებო (ad hoc) პროკურორად შეირჩევა ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ყოფილი მოსამართლე ან ყოფილი პროკურორი, რომელსაც აქვს, შესაბამისად, მოსამართლედ ან პროკურორად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება. საგანგებო (ad hoc) პროკურორად შეიძლება აგრეთვე შეირჩეს ნასამართლობის არმქონე, სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი აკადემიური წრეებიდან ან/და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან, რომელიც იმავდროულად არ ეწევა საადვოკატო საქმიანობას. კანდიდატი, მისი ზნეობრივი და პროფესიული თვისებების გამო, უნდა სარგებლობდეს მაღალი ავტორიტეტით.

6. საგანგებო (ad hoc) პროკურორს უფლებამოსილება უწყდება საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილებით.“.

5. მე-9 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მთავარ პროკურატურას ხელმძღვანელობს მთავარი პროკურორი, რომლის უფლებამოსილების ვადაა 6 წელი. ერთი და იგივე პირი მთავარ პროკურორად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] და 1[2] პუნქტები:

„1[1]. მთავარ პროკურორად შეიძლება არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს მოსამართლედ ან პროკურორად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება. მთავარ პროკურორად შეიძლება აგრეთვე არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე, სისხლის სამართლის დარგის აღიარებული

სპეციალისტი აკადემიური წრეებიდან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან, რომელიც იმავდროულად არ ეწევა საადვოკატო საქმიანობას. კანდიდატი, მისი ზნეობრივი და პროფესიული თვისებების გამო, უნდა სარგებლობდეს მაღალი ავტორიტეტით.

1^2. მთავარი პროკურორი სარგებლობს იმუნიტეტით ნებისმიერ ისეთ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც მან თავისი უფლებამოსილების შესრულების პროცესში განახორციელა. მთავარი პროკურორის სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარების შედეგად.“;

გ) მე-3 პუნქტს:

გ.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ვ^1$“ ქვეპუნქტი:

„$ვ^1$) იწვევს და თავმჯდომარეობს პროკურორთა კონფერენციას;“;

გ.ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) გარდა ამ კანონის 8^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, წყვეტს პროკურატურის მუშაკთა მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხებს;“;

გ.გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ტ^1$“ ქვეპუნქტი:

$ტ^1$) ექვს თვეში ერთხელ მაინც, ან საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ, საპროკურორო საბჭოს წარუდგენს პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც შეეხება დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკას, სტატისტიკურ მაჩვენებლებს, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობას, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს და არ მოიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს;“;

დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. მთავარი პროკურორის დანიშვნასთან დაკავშირებით ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურები იწყება მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე ან, თუ მთავარ პროკურორს უფლებამოსილება ვადის გასვლამდე შეუწყდა, უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე.“.

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 და 9^2 მუხლები:

„მუხლი 9^1. მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის წესი

1. იუსტიციის მინისტრი აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად შეარჩევს და საპროკურორო საბჭოს წარუდგენს მთავარი პროკურორის არანაკლებ სამ კანდიდატურას, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის. კანდიდატურების შესახებ წარდგინება უნდა დასაბუთდეს.

2. იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ მთავარი პროკურორის კანდიდატურებს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე კენჭი ცალ-ცალკე ეყრებათ. დამტკიცებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს წევრთა 2/3-ისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, მეორე ტურში კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატურას. თუ ამჯერადაც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საპროკურორო საბჭოს წევრთა ხმების 2/3-ის მხარდაჭერა, იუსტიციის მინისტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ასახელებს სხვა კანდიდატურებს.

3. საპროკურორო საბჭოს მიერ დამტკიცებულ კანდიდატურას საქართველოს იუსტიციის მინისტრი თანხმობის მოსაპოვებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას. თუ საქართველოს მთავრობა არ განაცხადებს თანხმობას, იუსტიციის მინისტრი საქართველოს მთავრობას წარუდგენს ამ მუხლის პირველი - მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით საპროკურორო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სხვა კანდიდატურას.

4. თუ საქართველოს მთავრობა თანხმობას განაცხადებს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ კანდიდატურაზე, აღნიშნული კანდიდატურა წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს მთავარ პროკურორს.

5. თუ საქართველოს პარლამენტი არ დაუჭერს მხარს საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, მეორდება ამ მუხლის პირველი - მე-4 პუნქტებით დადგენილი პროცედურა.

მუხლი 9^2. მთავარი პროკურორის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების წესი

1. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, საპროკურორო საბჭო ერთი ან მეტი წევრის ინიციატივით განიხილავს საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნის მიზანშეწონილობის საკითხს. საპროკურორო საბჭო ასევე უფლებამოსილია საგანგებო პროკურორის დანიშვნის მიზანშეწონილობის საკითხი განიხილოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიმართვის საფუძველზე.

2. საგანგებო (ad hoc) პროკურორის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საპროკურორო საბჭოს ნებისმიერ წევრს. გადაწყვეტილება პირის საგანგებო (ad hoc) პროკურორად დანიშვნის თაობაზე მიიღება საპროკურორო საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ საპროკურორო საბჭო წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, იგი უარს იტყვის საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნაზე. საპროკურორო საბჭოს უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

3. ინფორმაცია მთავარი პროკურორის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ უნდა იყოს სარწმუნო და დამაჯერებელი. საპროკურორო საბჭო საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტამდე სხდომაზე იწვევს და ახსნა-განმარტებას ჩამოართმევს ინფორმაციის ავტორს, აგრეთვე ნებისმიერ პირს, რომელსაც სავარაუდო დანაშაულის შესახებ ცნობების დადასტურება ან უარყოფა შეუძლია. საპროკურორო საბჭო უფლებამოსილია, აღნიშნულ პირთაგან მოითხოვოს მათი პოზიციის დამადასტურებელი ცნობების წარმოდგენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნამდე, ასევე საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნის დამტკიცებამდე, საპროკურორო საბჭო ისმენს მთავარი პროკურორის ახსნა-განმარტებას. მთავარი პროკურორი უფლებამოსილია საპროკურორო საბჭოს წარუდგინოს თავისი პოზიციის დამადასტურებელი ინფორმაცია, აგრეთვე ისარგებლოს დაცვისა და საკითხის განხილვაში წარმომადგენლის უფლებით.

5. საგანგებო (ad hoc) პროკურორი ამზადებს და მისი დანიშვნიდან 2 თვის ვადაში საპროკურორო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა. საგანგებო (ad hoc) პროკურორის შუამდგომლობით და საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით ეს ვადა შეიძლება არაუმეტეს 2 თვით გაგრძელდეს.

6. ამ მუხლის მე-7 პუნქტის დებულების გათვალისწინებით, თავისი მოვალეობების შესრულებისას საგანგებო (ad hoc) პროკურორი სარგებლობს ყველა უფლებამოსილებით და მასვე ეკისრება ყველა მოვალეობა, რომელიც გამოძიების ეტაპზე გააჩნია პროკურორს ამ კანონიდან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

7. მთავარი პროკურორის მიმართ არ შეიძლება ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს განჩინებით ტარდება.

8. თუ საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნის თანახმად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, საპროკურორო საბჭო წევრთა 2/3-ით ამტკიცებს საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნას, რის შემდეგაც მიმართავს საქართველოს პარლამენტს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. მიმართვას თან ერთვის დასკვნა და სხვა აუცილებელი მასალები. თუ საპროკურორო საბჭო წევრთა 2/3-ის უმრავლესობით არ დაამტკიცებს საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნას

დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შესახებ, საკითხი საპროკურორო საბჭოს დღის წესრიგიდან მოხსნილად ჩაითვლება. ხოლო, თუ საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნაში არ არის დადასტურებული დასაბუთებული ვარაუდი, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, საპროკურორო საბჭოს მაინც შეუძლია 2/3-ის უმრავლესობით უარყოს საგანგებო (ad hoc) პროკურორის ასეთი დასკვნა. ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა და საპროკურორო საბჭო მიმართავს საქართველოს პარლამენტს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

9. საქართველოს პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის საპროკურორო საბჭოს წარდგინებას მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ პარლამენტი ხმათა საჭირო რაოდენობით არ მიიღებს გადაწყვეტილებას მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, საკითხი პარლამენტის დღის წესრიგიდან მოხსნილად ჩაითვლება.

10. საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნა იმის თაობაზე, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი მთავარი პროკურორის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, საკმარისი საფუძველია მისი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ბრალის წასაყენებლად.

11. საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნა საჯარო დოკუმენტია და მესამე პირის პერსონალური მონაცემების გაუმჟღავნებლად ქვეყნდება საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე.

12. მთავარი პროკურორი შეიძლება თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლდეს იმ შემთხვევაშიც, თუ საპროკურორო საბჭოს მიერ საქმის განხილვის შედეგად დადასტურდება მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება საპროკურორო საბჭოს და საქართველოს პარლამენტის მიერ ამ მუხლით დადგენილი თანმიმდევრობით და წესით, იმ გამონაკლისით, რომ დისციპლინური სამართალდარღვევის შემთხვევაში საგანგებო (ad hoc) პროკურორი არ ინიშნება. დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესის მიმდინარეობისას საპროკურორო საბჭოს წევრები თავისი შემადგენლობიდან, წევრთა 2/3-ით, ირჩევენ მომხსენებელს.

13. დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ან დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე პარლამენტის მიერ მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში, თუ მთავარი პროკურორის მიმართ მისი გადაყენების შემდეგ არ დაიწყო ან შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ან სასამართლომ არ ცნო ყოფილი მთავარი პროკურორი დამნაშავედ იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც იგი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, ანდა სასამართლომ ბათილად ცნო გადაწყვეტილება მთავარი პროკურორისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, ყოფილ მთავარ პროკურორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, იმ განაცდურის ჩათვლით, რომელსაც მიიღებდა იგი თავისი უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.“.

7. 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტური მეთოდით. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს საგამოცდო ტესტების წინასწარ გამოქვეყნებას. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს, პერიოდულობას და გამოცდის პროგრამას, საგამოცდო კომისიის დებულებას და კომისიის შემადგენლობას იუსტიციის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდა.“.

8. 38-ე მუხლის:

ა) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. დისციპლინური სახდელის დადება ხდება პროკურორის ბრძანებით, ამ კანონის 8^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-12 - მე-13 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო ამ კანონის 9^2 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით. პროკურორის ბრძანება/საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილება უნდა გაეცნოს პროკურატურის მუშაკს, რომელსაც დაედო სახდელი. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ პროკურორის ბრძანება/საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილება/საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება ინახება პროკურატურის მუშაკის პირად საქმეში.“;

ბ) მე-14 და მე-15 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

14. პროკურატურის მუშაკს დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადამდე მოეხსნას ამ კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. დისციპლინური სახდელი იხსნება შესაბამისი ბრძანებით/გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა გაეცნოს პროკურატურის მუშაკს, რომელსაც დაედო სახდელი. დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნის შესახებ ბრძანება/გადაწყვეტილება ინახება პროკურატურის მუშაკის პირად საქმეში.

15. პროკურატურის მუშაკისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ პროკურორის მიერ გამოცემული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში, ხოლო საპროკურორო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილეებისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ - სასამართლოში, ბრძანების გამოცემიდან/გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში.“.

9. 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მთავარი პროკურორისთვის დადგენილი ნიმუშის სამსახურებრივ მოწმობას გასცემს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს საქართველოს პროკურორთა პირველი კონფერენციის ორგანიზება და ჩატარება.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს პროკურორთა კონფერენციამ უზრუნველყონ საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევა.

3. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პროკურორთა კონფერენციის მიერ საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევისთანავე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უზრუნველყოს საპროკურორო საბჭოს პირველი სხდომის მოწვევა და ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად მთავარი პროკურორის ასარჩევად საჭირო პროცედურების დაწყება. მთავარი პროკურორის არჩევისთანავე მოქმედ მთავარ პროკურორს შეუწყდეს უფლებამოსილება.

4. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა უზრუნველყონ საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გ. მარგველაშვილი*